წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი № 9

ქ.წალენჯიხა 2019 წლის 30 აპრილი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.
საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ : გოჩა ლიპარტია , თეა ხასაია

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის აღმსრულებელი, მერის პირველი მოადგილე ცოტნე შონია, მერის მოადგილე სავერიანე შეროზია, საკრებულოს, მერიის თანამშრომლები და საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 55 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 18).

დღის წესრიგი:

1. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის თაობაზე.**
   მომხსენებელი: **ცოტნე შონია** მუნიციპალიტეტის მერის მ/შ, მერის პირველი მოადგილე

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ
   მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია** მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

მოისმინეს : 1 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მერის პირველმა მოადგილემ ცოტნე შონიამ.

აზრი გამოთქვეს:

დავით ბელქანიამ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს მიმართა განემარტებინა წინა წლებთან მიმართებაში , კერძოდ 2014 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზრდა თუ შემცირდა და რამდენი ლარით.

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ განმარტა რომ 2014 წლიდან ბიუჯეტი გაიზარდა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 - გიორგი აბულაძე, ირაკლი ხარჩილავა, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 19).

მოისმინეს: 2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გიორგი აბულაძემ მომხსენებელს მიმართა შეკითხვით განემარტებინა თუ როდის შეიქმნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის შესახებ" სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №12/36 ანგარიშის შედეგად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში გამოვლენილი ნაკლოვანებების ფარგლებში ხარვეზის გამოსწორებისა და სამართლებრივი რეაგირების მიზნით სამუშაო ჯგუფი და რა ვადით, აღნიშნული ჯგუფი როდის წარმოადგენს შუალედურ და საბოლოო დასკვნებს.

რაზეც მომხსენებელმა თენგიზ ფიფიამ განმარტა, რომ აღნიშნული დასკვნები საკრებულოსთვის პერიოდულად იქნება წარმოდგენილი.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 20).

მოისმინეს 3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ფართი არის მუნიციპალური საკუთრება და საკრებულო უნდა იყოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველაფრის საქმის კურსში.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 21).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**